# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 387. კვირა, 12 მარტი, 1906 წ. გაზეთის № 3025


### ბიძიას

ბიძა ჩემი მკვდრეთით ადგა,
დაგემართოთ ყველას კაი,
თვის ანდერძი უარი ჰყო
ვაი, ვაი, ვაი, ვაი!

—

შიგ სათვალავში უსწავლია
სარტალ-მარტალ მალაყები,
ხან იძახის ცოცხალი ვარ,
ხან იძახის, ისევ ვკვდები!

მაგრამ რადას მივენდობი!
მეც ვისწავლე, განა, შკუა,
განა ერთხელ, რამდენჯერმე
იმ ცბიერმა მომატყუა!

მაგრამ ერთს კი რამეს გირჩევ,
ჩემო ბიძა, ჩემო კარგო,
არ გემდური, მე რა გარგე,
ნათესავო, შენ რა მარგო!

დიდ, გირჩევ ორჯელ სიკვდილს
მოკვდი ერთხელ, მოისვენე,
ჩაწე სათვალავს და ხელ-ფეხი
დაადუნე, დააყენე!

თორე შენ თავს ვერ უშველი
ვერც ჯავრობით და ვერც ფიქრით,
სადამაც ამოსძვერი
ჩაგკგდებენ იქავ წიხლით!

—

ბიძა ჩემი მკვდრეთით ადგა,
დაგემართოთ ყველას კაი,
თვის ანდერძი უარი ჰყო,
ვაი მის თავს, ვაი, ვაი!

ი. ევდოშვილი

# მეურნეობა

**მოთხრობა ოკტავ მირბოსა.*)**

(ფრანგულით).

მალე ლეშაც დაბრუნდა და თავისი მეუღლე მოიყვანა. დაბალი, მსხვილი და მოღიმარე იყო ლეშას ცოლი. ასე მეგონა, თვალებში ეშმაკობაც ეტყობოდა და გულღიაობაც. თავზე უშველებელი არახჩინი ეხურა, ყვავილებით დატვირთული, შეხაკვრელი ლენტები მხრებზე ჩამოეშო ფრთებსავით. მომესალმა და, ცოტა არ იყოს, უკმეხის ხმით მითხრა.

— მადლობელი გახლავართ, ბატონო, დიდად მადლობელი გახლავართ, რომ გინებებიათ და ჩემის ქმრის სანახავად მობრძანებულხართ... ვინ იცის რა და რა არ გიამბოთ, მაგრამ ყველაფერი როდი უნდა დაუჯეროთ! ამისთანა მოლაყბე და ბაქია ჯერ ღმერთს არ გაუჩენია... ვინც არ იცნობს, ცუდ კაცი ჰგონია, მაგრამ არც ისე ავია, როგორც კაცს ეგონება... მეტად ცუდი ჩვეულება აქვს, ვინ იცის, რეებს არ მოიგონებს ხოლმე... თვითონაც არ იცის, რა მოიგონოს, როცა ტყუილების გუდას გაჰბერავს და ეშხში შევა, კაცი კი ველარ გააჩერებს...

ლეშა თავს აქნევდა, მხრებს იშმუშნიდა და თვალებს მიშვრებოდა და ამით ალბად მანიშნებდა: ჩემის ცოლის მიქარვებს ყურს ნუ უგდებ, თუ ღმერთი გწამსო.

მინდოდა ლაპარაკის საგანი გამომეცვლევინებინა და ქ.-ბატონს ლეშას ვუთხარი:

— რა საუცხოვო მამული გქონიათ!

ამოოხვრით მიპასუხა:

— საუცხოვოა, მაგრამ მეტად უზარმაზარი რამაა... იცით, ველარ შევეჩვიე ამ უშველებელ მამულში ცხოვრებას... შიგ კაცი იკარგება... მერე რომ იცოდეთ რამდენი ფული ჯდება ამის შენახვა... მაშინ კი არ იტყოდით საუცხოვოაო! მერე ჩემმა ქმარმა დაიჟინა, ყველაფერი მე უნდა გავაკეთო ჩემის ხელითაო... სხვებსავით კი არ მინდა მოვიქცეო... ყოველ დღე ახალ-ახალ რასმე იგონებს... ეს ორთქლის მანქანებიო, ეს ესაო, ეს ისაო!.. ფული კი იხარჯება ბზესავით... გულზე ვსქდები... მეც ვიცი, რომ პურის ფასი დაეცა, არავინ ყიდულობს და საზარალოა მისი თესვა. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ჩემმა ქმარმა მის ადგილას ბრინჯის თესვა შემოიღო. ჩინეთში კარგად მოდის და აქ კი რატომ არ უნდა იხაროსო. ის კი არა, სულ არ ამოვიდა. ჰო, თქვენმა მზემ, მართალს მოგახსენებთ, რაღა ბრინჯი, სხვაშიაც ასე დაგვემართა.

შემოვიდა მოსამსახურე.

— რა ჰქენი, ბიჭო, საუზმე ხომ მზათაა?—ჰკითხა ქალბატონმა.

მაშინათვე მომიბრუნდა და მკითხა:

— რაკი დილას აქეთ გზაში ხართ, უეჭველია, მოგშივდებოდათ?... ჩვენთან საჭმელი არ დაგაკლდებათ. რაც გვექნება, იმას დასჯერდით!.. აქაო და მდიდრები ვართო, განა ჩიტის რძე უნდა მივირთვათ და ქონება ვფლანგოთ საჭმელებისათვის... აბა წავიდეთ, ვჭამოთ!. ჩვენი სტუმარი, უეჭველია, ბურაღსაც მიირთმევს,—ჰკითხა ქმარს.

— რატომაც არ უნდა მიირთვას,—კვერი დაჰკრა ლეშამ, შემიყვანა სასადილო ოთახში და თანაც ყურში ჩამჩურჩულა:

— დიასახლისს ყურს ნუ უგდებ; გაუნათლებელი დედაკაცია... ოხ, როგორ მარცხვენს!..

საუზმე გულის ამრევი რამ იყო. რაც წინა დღისაგან მონარჩენები იყო, ერთმანეთში აელუფხათ. შემწვარ ხორცის, შემწვარ ხბოს ხორცის და შემწვარისავე ქათმის ნაჭრები თხელ ღოლოში დასცურავდა. სუფრაზე, ლეშას წინ, იდგა ექვსი თითქმის დაცარიელებული საღვინე ბოთლი. ლეშა ხან ერთ ბოთლიდან დამისხამდა ჭიქაში და ხანაც მეორიდან. თანაც დააყოლებდა: კარგ ღვინოებს მხოლოდ კვირაობითა ვხსნი ან და მაშინ, როცა სტუმრები მყავსო.

ყოველმავე ნახულმა და გაგონილმა ისე გამომაშტერა, რომ აღარ ვიცოდი, თავი როგორ დამეჭირა, თვალწინ მედგა ბრმა ბედის წყალობით მილიონერებათ გამხდარი ცოლ-ქმარი. მათმა ყურებამ ნაღველი ამიშალა, თან გული ამირია ბინძურ და საზიზღარ სიმდიდრის სიმყრალემ. ამას ზედ დაერთო მწარე გრძნობა კაცობრიულ სამართლიანობის ამაოე-

*) იხ. „დამატება“ № 386



ინგლისის პირველ მინისტრად ნამყოფი ბალფური ამომრჩევლების წინაშე... არ ამოირჩიეს!



მაცდური ევა საარჩევნო ასპარეზზე.

ბისა პროგრესისა და სოციალურ რევოლუციის ამაოების, რომელთაც შეჰქმნეს: ლეშა და თუთხმეტი მილიონი ლეშასი! კაცობრიობამ საუკუნოების განმავლობაში განა ამისთვის სთესა თესლი აზროვნებისა, განა ამისთვის დაანთხია ხალხმა თავსაკვეთლებიდან სისხლი დაღლილ და უნაყოფო მიწაზე, რომ ლეშას ნაქურდალ, ბინძურ ოქროში ეგორავნა! სასადილო ოთახიდან სურათსავით მოსჩანდა დახავერდებული მწვანე და ლურჯად მოციმციმე ტყე და ასე მეგონა, რომ ცისკიდურის ყველა კუთხიდან ხროვად მოდიან უბედურნი და გაჭირვებულნი იმისთვის, რომ ვოპერდიუს კოშკის კედლებს შეალეწონ სხეულის ნაწილები და შეანთხიონ ტვინი მეთქი. ხმას არ ვიღებდი, კრიჭა შემეკრა, სიტყვა ვერ მეპოვნა სათქმელად.

ერთბაშად ლეშამ წამოიძახა·

— როცა დეპუტატი ვიქმნები... დიაღ როცა დეპუტატი ვიქმნები...

აზრი აღარც დაამთავრა და ჩანგალი თავზე შემოივლო, ცოლმა სიბრალულით შეხედა და რამდენჯერმე მხრები შეიშმუშნა.

— როცა დეპუტატი იქნები, —განიმეორა ქ-ნმა ლეშამ... შენა და დეპუტატობა... დიახ... დეპუტატი!.. შენმა თავის გახეთქამ!..

მერე მე მომიბრუნდა, რაცა ვსთქვი, კვერი დამიკარიო:

— თუ ღმერთი გწამსთ... სისულელე არ არის ასეთ რისამე თქმა? დღემდე ეს მესამეჯერ დაიდგა ყუთი... სამივეჯერ სამას კენჭის მეტი არ ამოსულია!.. ამის ალაგას საზოგადოებაში თავს არ გამოვყოფდი, ჩემმა მზემ!.. თქვენ ის უნდა იკითხოთ, ეს სამასი კენჭი რა დაგვიჯდა?.. ექვსას ათასი ფრანკი ისე წაგვივიდა, როგორც ეს ბოთლი გვიდგა ემანდე!.. ყველაფერი ვიანგარიშე, ვერავინ მომატყუებს!.. სწორედ ექვსასი ათასი ფრანკი, ერთი სანტიმიც არ აკლდა.. ესე იგი, ყოველი კენჭი დაჯდა ორ ათას ფრანკად. და ამის შემდეგ კიდევ გაიძახის, ყუთი ისევ უნდა დავიდგათ!.. ვერ წარმოიდგენთ, წარსულ 14 ივლისის დღესასწაულზე რა მოიგონა... მანიფესტაცია უნდა გავმართოვო და, რაც ხეივანში ხეებია, ტოტები სულ სამფეროვნად შეაღებინა.*)

ლეშა იღიმებოდა, ხელებს იფშვნეტდა. მთელს სახეზე ბედნიერ კაცის კმაყოფილება გადაეფინა, როცა მოიგონეს მისი საგმირო საქმე, მისი მაღალაზროვნება. თვალებით მეკითხებოდა, ხომ მოსაწონისი კაცი ვარ, ხომ კმაყოფილი ხართ რომ გაიცანით ჩემისთანა ადამიანიო?

— მე გახლავართ, რომ ასეთი აზრი დამებადა! ვაი არა აქვს ჩემს თავს! —მითხრა ლეშამ... —მხოლოდ რა ქალის საქმეა კაცების საქმეში გარევა... ქალმა რა იცის, ხალხს როგორ უნდა მოეპყრას კაცი... ყური მიგდე... ამ ხელად კი უეჭველად ამომირჩევენ დეპუტატად და ერთი სანტიმიც ირ დამიჯდება არჩევნები... მთელი გეგმა შევადგინე არჩევნებისათვის! აი ახლავე გეტყვი ჩემს პლანსაც!... ჩემი თავი უნდა გამოვაცხადო, როგორც სოციალისტი-აგრონომი... მაშ! ვიტყვი, საჭირო არ არის არც ჯარი, არც სასამართლო, აღარც ხარჯთამკრეფი, ყველაფერი უნდა მოისპოს... ჩემი აზრი ასეთია. აღარც ღარიბები უნდა იყოს, ყველანი მესაკუთრეებად უნდა იქცნენ!.. არჩევნების დროს დაინახავ, რომ მართლა დიდებული პლანი მქონია შედგენილი!.. აბა მღვდლებს დაუდგებათ ცუდი დღე... მართალია კინაღამ, დამავიწყდა, უნდა გამოვაცხადო აღარც მღვდლებია საჭირო-მეთქი!.. ამიტომ რომ, მღვდლებმა შემიშალეს ხელი არჩევნების დროს—თავისუფალი მოაზრე ხარო; ამიტომ რომ მათის ღმერთისა არაფერი მწამს!.. ვაი არა აქვს ჩემსთავს!.. აბა მაშინ ნახავენ თვალის სეირს მღვდლები, როცა ჩემს პლანს გამოვაცხადებ!...

ამ დროს ქ-ნი ლეშა წამოვარდა და შეუტია:

— ხმა ჩაიწყვიტე... მეორეჯერ არ გამაგონო მღვდლების ძვირი და სარწმუნოების გინება! გაიგე?.. ღმერთო დიდებულო, ამასთან ყოფნას და ამის ყურის გდებას ბავშვებთან ყოფნა ათასწილ სჯობია!.. ბატონო, ყურს ნუ უგდებთ, თქვენი ჭირიმე, არ გეგონოსთ, რომ ურწმუნო იყოს... მაგრამ როცა ვისთანმე ლაპარაკობს, ღმერთი უწყრება, თავს ვერ იკავებს, თუ ბაქიობას არ მიჰყვა... ის კი არა, ერთი ბეწო რამ რომ წამოსტკივდეს, მაშინათვე მღვდელთან აფრენს კაცს, არიქა, ვკვდები და მიშველოსო! ამას რო კაცმა ყური უგდოს, მღვდელი სულ აქ უნდა მვყავდეს, რომ ჭკუა ასწავლოს და კარგებისა მოახსენოს! მაშ!..

ლეშას შერცხვა, მაგრამ ვითომ არც კი შეიმჩნია ქალის საყვედურები, თეფშს ტყაპუნი აუტეხა, მერე ზე ჭერში ბუზის



ეს არის ჩვენი ტოგო!

ფრენას დაუწყო ცქერა და თან უგულოდ რაღაც სიმღერა დასტვინა, მერე ჩააჩველა და ერთბაშად გამოსცვალა ლაპარაკის საგანი.

---

*) საფრანგეთის ეროვნულ ბაირაღის ფერები.




ლედი ვარვიკი, მაღალ საზოგადოების ქ'ლი, აგიტაციას ეწევა ინგლისში მუშათა კანდიდატის სასარგებლოდ.

— როგორ ვსწუხვარ, რომ ჩემს კოშკში ამ თხუთხმეტის დღის წინად არ იყავი... კანკანი, ვითამაშე... გაჩვენებდი რა მშვენივრად ვთამაშობ! ისე ვთამაშობ, როგორც პარიზში თამაშობენ... ჰო, ჩემმა მზემ.

ესა სთქვა და დაიწყო სკამზე ქანაობა. თან ხელები წინ გაიშვირა, სათამაშოდ მომზადებულსავით.

— ეგ-ღა გაკლდა! — ამოიოხრა ცოლმა. — გერჩივნა არც-კი მოგეგონებინა· სწორედ შენი კანკანის ბრალია, რომ უპერანგებოდ დავრჩით... ბატონო, თუ ღმერთი გწამსთ, ერთი გაგვასამართლეთ. თვე ისე არ გაივლის, რომ ქალაქიდან ხალხი არ გვეწვიოს სტუმრად... ყველანი მეტად მოსიყვარულენი ძ ზრდილნი არიან·· მათთან მოსული ქალებიც.. მეტადრე ბ-ნი გატინელი, ბანკში მოსამსახურეა, მხიარული . ლაპარაკი არ უნდა, სადაც ისაა, მაყურებულნი სიცილს ვერ იკავებენ. წარმოიდგინეთ, პიანინოზე ფეხებით უკრავს, ცხვირითაც უკრავს, რით გნებავთ, რომ არ დაუკრას, და ამასთან მშვენივრათაც უკრავს... როცა ის ჩვენთანაა, ძალზე მხიარულადა ვარ... მეტის მეტი ოხუნჯია... სიტყვას, ვერ იტყვის რომ კაცს არ გაეცინოს!.. სწორედ ამ ორის კვირის წინად გვეწვივნენ... ქალებიც მოჰყვნენ... ნასადილევს თამაშობა დაიწყეს. ნასადილევს თამაშობა აბა ვინ გაიგონა, თქვენს ლხენას!... ცხელოდა, საშინლად ცხელოდა და ყველას ოფლი ჩამორეცხდა... საშინელი სიყურებელი იყვნენ, როგორ იწურებოდნენ ოფლში... ფანჯრები დავაღეთ... ცა ღრუბლებით დაიფარა და ჰქუხდა... მშვენიერება იყო... როცა კაცი მხიარულობს, დრო შეუმჩნევლად გარბის და ყველაფერი ავიწყდება... სრულებით დაგვავიწყდა მატარებლის წასვლის დრო!.. ღმერთო ჩემო! ყველა ეს ხალხი უნდა აქ დავაწვინო და ეს კი ხუმრობა საქმე არ არის-მეთქი... მართალია, ოთახები ბევრი გვაქვს, მაგრამ თექვსმეტის სულის სამყოფ ზეწრების შოვნა ცოტა ძნელი იყო... თავში ვიცემდი. საიდან რა მოვაგვარო-მეთქი!.. ასე ყველას ვუშოვეთ ლოგინი... ლოგინი კი ვუშოვეთ, მაგრამ ლოგინს გარდა სხვაც უნდოდა ამდენს ხალხს... ყველას პერანგები სჭირდებოდა, ამიტომ რომ მათი პერანგები ისე იყო დასველებული, ისე, რომ გეგონებოდათ სასარეცხოდან არიან ყველანი გამოსულნიო... ჩემმა ქმარმა კაცებს თავისები ათხოვა; მე ჩემები ქალებს ვათხოვე... მერე მათი პერანგები ღუმელთან გავაფენინე გასაშრობად, მეორე დღეს მაინც ჩაიცვამენ-მეთქი... მეორე დღეს პერანგები მართლა რომ ყველა გამშრალი იყო. მაგრამ უნდა თქვენის თვალით გენახათ, ბატონო, რასა ჰგვანდა ეს პერანგები... ჭუჭყიანი, ჭუჭყიანი, დაფხრეწილი, ნამდვილ მჩვრების მსგავსი... შეუძლებელი იყო, ყოვლად შეუძლებელი იყო მათი ჩაცმა... ჩემმა ქმარმა დღის პერანგებიც ათხოვა კაცებს... ყველანი კმაყოფილნი დაბრუნდნენ!... მას აქედ ორი კვირა გავიდა, ბატონო და ერთსაც არ მოჰგონებია, ნათხოვარი პერანგები დაებრუნებინა!.. თქვენ, რაც გნებავდეთ, ისა ბძანეთ, მაგრამ, ჩემის აზრით, ყველანი ცუდად მოიქცნენ... რაც უნდა ბევრი ჰქონდეს კაცს საცვლები, თექვსმეტი პერანგის დაკლება მაინც დააჩნდება...

საუზმე გავათავეთ. სუფრიდან წამოვდექით. ლეშამ ხელი ხელში გამიყარა და საჩქაროდ გამიყვანა — ჩემის მეურნეობის ნაყოფი უნდა გაჩვენოვო... ჩვენც წავედით...

*
* *

რაკი ცოლს თავი დააღწია, ლეში გამხიარულდა, გამოცოცხლდა, ენა ამოიდგა და ბაქიობას უმატა. დიდის თხოვნით მთხოვა, რაც ჩემმა ცოლმა საუზმეზე გითხრა, ერთი სიტყვაც არ დაიჯეროთო. სინდისს გეფიცებით, თავისუფალი მოაზრე ვარ, არც ღმერთი მწამს და აღარც ეშმაკი და გულიგულში ფეხებზე მკიდია ხალხიცა, თუმცა სოციალისტი ვარ... ისიც გამანდო, რომ ქალაქში საყვარელიცა მყავს, დიდძალს ფულს ვხარჯავ მის შესანახავად და სოფლად, რაც ლამაზი ქალებია, სულ ჩემთვის გაიზდებიანო...

— საწყალი ჩემი ცოლი! — დასძინა ბოლოს, — რომ იცოდეს, როგორ ვღალატობ! როგორ ვატყუილებ ყველა ქალებს!..

დავათვალიერეთ ბოსლები, თავლები, საფრინველო, ყოველ ქათმის, ყოველ ძროხის სახელი სათითაოდ მითხრა; ისიც მითხრა, თუ ამა თუ ამ ფრინველს ანუ ცხოველს რა ღირსება ჰქონდა, რამდენად ღირდა. პარკზე გავლის დროს ჩამომითვალა: თორმეტი ათასი ძირი საშენი მუხა მიდგასო, ფიჭვი ოცდათექვსმეტი ათასიო, რცხილა ოცდა ხუთ ათას ცხრას სამოცდა თორმეტი ძირიო, წაბლები კი იმდენი მიდგას, რომ დათვლაც არ შემიძლიანო. ბოლოს მინდვრათ გავედით.

ჩვენს თვალს წინ იშლებოდა უშველებელი ველი მოტიტვლებული, ვერ იპოვიდით ვერც ერთ ღერ ბალახს, ვერც ერთ ძირ ხეს. ნიადაგი გზასავით გაერთიანებული, გულმოდგინედ იყო დავარცხნილი; ქარისაგან აყენებული მტვრის ღრუბელი მზეზე თინათინებდა. მიკვირდა, რომ შუაგულ აგვისტოში აღარც პურის ყანა სჩანდა სადმე და აღარც სამყურა იყო დათესილი...

— ეს მინდორი სათადარიგოდა მაქვს, — მითხრა ლეშამ... — ახლავე აგიხსნი, რად მინდა... ხომ იცი, მე უბრალო მიწის მუშა კი არა ვარ; მე აგრონომი ვარ... ხომ იცი, რა განსხვავებაა? განსხვავება ის არის, რომ მე ვმუშაობ, როგორც განათლებული კაცი, როგორც ეკონომისტი, როგორც მოაზრე და არა როგორც უბრალო ვინმე გლეხი... მაშ!.. ვხედავდი, რომ ყველანი პურსა სთესავდნენ, სთესავდნენ ქერს, ჭარხალს, ჭვავს... ამას დიდი ჭკუა და ცოდნა არ უნდა და გარდა ამისა, ჩვენს შორის კი დარჩეს და, რის მაქნისია ყველა ამაების თესვა?!.. ამასთან, ქერი, ჭვავი, ხორბალი, ჭარხალი რა სათესია, ამის თესვა ყველამ იცის, დაძველებული საქმეა, ახალი შიგ არაფერი ყრია... სხვა რამეა საჭირო; განათლება, პროგრესი წინ მიდის... აქაო და, ყველანი ჩამორჩენილნი არიანო, განა მეც, ლეშა, ვოპერდუს მამულის მფლობელი, მდიდარი, თუთხმეტ მილიონის პატრონი, აგრონომი-სოციალისტი, მეც სხვებსავით ჩამორჩენილი უნდა ვიყო

*) ერთნაირი ცეკვაა საფრანგეთში.

კაცი იმ საუკუნეს უნდა მისდევდეს ფეხ-და-ფეხ, რა საუკუნეშიაცა სცხოვრობს... მე ახალი წესი გამოვიგონე მიწის დასამუშავებლად... ვთესავ ბრინჯს, მომყავს თამბაქო, ყავა, შაქრის ლერწამი... რევოლიუციაც ასეთი უნდა!.. მაგრამ შენ ეს მითხარი, ხომ გათვალისწინებული გაქვს, თუ რა მოჰყვება ყოველსავე ამას?.. გატყობ, კარგად ვერა ხარ მიმხვდარი... ჩემ-მიერ შემოღებულ სისტემის წყალობით, კოლონიები საჭირო არ არის, ამასთანავე, ვსპობ ომსაც!.. გაგიოცა განა ჩემმა სიტყვებმა!.. აზრადაც არ მოგივიდოდა, რასაც გეუბნები, ხომ? დღეს ამას იქით საჭირო აღარ იქნება კაცი ცხრა მთას იქით გადაიკარგოს ამ ნაწარმოების საძებრად... დღეის ამას იქით ყოველსავე ამას ჩემთან იშოვის კაცი... ჩემი მამული ვოპერდუ — აი ნამდვილი კოლონიები! ინდოეთი, ჩინეთი, აფრიკა, ტონკინი—ყოველივე ჩემთან იქმნება... მხოლოდ, უნდა გამოვტყდე, ჯერ-ჯერობით არაფერი მოდის. არა... მითხრეს: აქაური ჰავა არაფრად ვარგაო... მიჰქარავენ! ჰავა საქმისათვის საჭირო სრულებითაც არ არის... თავი და თავი—სასუქია. საცა სასუქია—იქ ყველაფერი კეთდება. სასუქი მჭირია და მეც ვეძებ ამ სასუქს... ერთი ქიმიკოსი მყავს და იმისთვის ტყის უკან სახლს ვაშენებ და შიგ ლაბორატორია უნდა მოვაწყო... ეს სამი წელიწადია, სასუქის კვლევა-ძიებაშია ჩემი ქიმიკოსი... ჯერ ვერ აღმოუჩენია, მაგრამ აღმოაჩენს კი... ამ ხნულებს რომ უყურებ, სულ ბრინჯია დათესილი, ცარიელი ბრინჯი... მხოლოდ ერთს რასმე ვფიქრობ... ფრინველები აქამდე პურს რომ ანადგურებდნენ, ახლა ბრინჯს დაესივნენ და მიწაში ერთი მარცვალი არ ჩასტოვეს... ასე, მგონია, ამიტომ ყველა გავაწყვეტინე... თუ გინდა, მიმოიხედე, წამლად ერთ ჩიტს ვერ დაინახავ ჩემს მამულში... ეშმაკობა კი ვიხმარე... გამოვაცხადე, ვინც მოკლულ ბეღურას მომიტანს, ორ სუს მივსცემ-მეთქი, ბულბულისათვის ათი სუ დავნიშნე, შაშვისათვის თხუთმეტი და სხ. გაზაფხულზე ვინც ფრინველის ბუდეს მომიტანს კვერცხებიანად, ოც სუს ვაძლევ. ათ ვერსის მანძილიდან მოაქვსთ ბუდეები და მოკლული ფრინველები... თუ ეს აზრი კარგად გავრ.ელდა ხალხში, რამდენსამე წლის განმავლობაში მთელს საფრანგეთში ჩიტის ხსენება აღარ იქნება. წავიდეთ... ახლა კიდევ უფრო საკვირველს რასმე გაჩვენებ.

ჯოხი ჰაერში დაატრიალა და დიდის ნაბიჯით დაიწყო სიარული ბრინჯით დათესილ ხნულებში. ხანდახან დაიკუზებოდა ამოსულ ბალახის მოსაგლეჯად. რომ მოგლეჯდა, შინჯვას დაუწყებდა, მერე გადაისროდა და თანაც დაუმატებდა:

— არა, ნარი ყოფილაო.

თ. ს.

(დასასრული იქნება)



სიტყვის თავისუფლება 17 ოქტომბრამდე.



სიტყვის თავისუფლება 17 ოქტომბრის შემდეგ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. ჯაბადარი.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ბა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372.